№ 90.084

Date 25.05.2022

RMG COPPER

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

სს „RMG Copper"-ის 2022 წლის 23 მაისის N89.950 წერილით კომპანიამ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს წარუდგინა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით დანართების სახით დამატებით წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) და სამუშაო ჯგუფსა და სს „RMG Copper"-ს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას (მემორანდუმი)

დანართები

1. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) – CD დისკი (1 ცალი);
2. სამუშაო ჯგუფსა და სს „RMG Copper"-ს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (მემორანდუმი) – 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია).

პატივისცემით,

თორნიკე ლიპარტია

აღმასრულებელი დირექტორი

JSC RMG Copper, GEORGIA, 225358341

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
25 - 05 2022 წ.
№ 1821

სს RMG Copper, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
JSC RMG Copper, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;

№ 89.950

Date 23.05.2022

RMG COPPER

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ სს „RMG Copper"-ს დაგეგმილი აქვს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, ღია კარიერული წესით, მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს (ფართობით 11,27 ჰა) დამუშავება.

ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე (ტორფის ან მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრეშისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია), საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, წარდგენილი იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელზეც, გაიცა N3; 4.02.2022 სკოპინგის დასკვნა.

სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებული იქნა მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე - 10 და მე - 11 მუხლების საფუძველზე წარმოგიდგენთ სს „RMG Copper"-ის მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გთხოვთ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაცია.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
23 05 2022
№ 1732

დანართები

1. სს „RMG Copper"-ის მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის გზშ-ის ანგარიში - (1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);

სს RMG Copper, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
JSC RMG Copper, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;

2. მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის არატექნიკური რეზიუმე - (1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);

3. მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს დამუშავების პროექტი - (1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);

4. მუშევანი 2-ს ოქრო-სპილენძის მადნის საბადოს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის და რეკულტივაციის გეგმა/პროექტი - (1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);

5. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) – 1 ც. CD დისკი.

6. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;

7. გზშ-ის გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი.

პატივისცემით,

თორნიკე ლიპარტია

აღმასრულებელი დირექტორი

JSC RMG Copper, GEORGIA
RMG
COPPER
* 235358341 *